მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მაიზერ ჯაფარიძის წლიური ანგარიში

ქალბატონებო და ბატონებო.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად , მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეული 33 წევრისგან, რომელთაგან 21 წევრი არჩეულია პროპორციული, ხოლო 12 წევრი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. საკრებულოს ბიუროს შემადგენლობაში შედიან საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები (პირველი მოადგილე - ზაურ ჩართოლანი. მოადგილეები: ვალოდია ჭკადუა, იგორ რატიანი), საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

საკითხების წინასწარ მომზადებას, გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ხელის შეწყობას, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ

დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლს ახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო 5 კომისიის მეშვეობით. ესენია:

1. საპროცედურო საკითხთა კომისია-თავმჯდომარე შორენა ციხდელიანი
2. ურბანული განვითარების კომისია-თამჯდომარე ზაზა ფალიანი
3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-თავმჯდომარე როდამ გვარმიანი.
4. სოციალურ საკითხთა კომისია- მაია ხორგუანი.
5. ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების კომისია-თავმჯდომარე ბაჩუკ

ნაკანი.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედებს 3 ფრაქცია:

1. ფრაქცია-„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო„- ლაშა პირველი
2. ფრაქცია ,,სვანეთის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე გიორგი ხვისტანი
3. ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა„- თავმჯდომარე დავით გვიჩიანი.

2023 წლის განმავლობაში მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა

ბიუროს 13 სხდომა. დამტკიცებულია საკრებულოს კომისიების სამუშაო გეგმები.

ჩატარებულია საკრებულოს 13 სხდომა, შედგენილი და გამოქვეყნებულია საკრებულოს სხდომის ოქმები.

საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 34 დადგენილება

და 60 განკარგულება. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულია 136 ბრძანება.

ჩატარებულია საკრებულოს კომისიის

შემდეგი სხდომები:

1. საპროცედურო საკითხთა კომისია- ჩატარებულია 7 სხდომა.
2. ურბანული განვითარების კომისია- ჩატარებულია 7 სხდომა.
3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-ჩატარებულია 8 სხდომა.
4. სოციალურ საკითხთა კომისია- ჩატარებულია 7 სხდომა.
5. ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების კომისია, ჩატარებულია 7 სხდომა.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 21 563 400

ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტში ბიუჯეტის განხილვა არის საჯარო. ამის შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია წინასწარ ეცნობება საკრებულოს სოციალური ქსელის მეშვეობით. განხილვა ტარდება მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის სააქტო დარბაზში.

ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ კომენტარები და მოსაზრებები.მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პირველადი პროექტი ხელმისაწვდომია საიტზე http://mestia.gov.ge/ge/node/1601/ მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია უკვე არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ფიზიკურ პირს ან ინდივიდუალურ მენარმეს, რომელსაც დაწყებული აქვს სიძველით ან/და სტიქიით დაზიანებული შენობის აღდგენა, ან აპირებს მის აღდგენას, ან ახლის აშენებას, დაეხმაროს გადასახური მასალით.

პროგრამის გრძელვადიანი მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში დადებითი მიგრაციის პროცესის ხელშეწყობა. პროგრამა

დაეხმარება ადგილობრივებს გადასახური მასალით (თუნუქი/ყავარი), რაც, ერთი მხრივ, იქნება მოტივატორი საცხოვრებლად დაბრუნების მსურველი ოჯახებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენა-შენარჩუნებას, სვანური ავთენტური არქიტექტურის შენარჩუნებას, მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებასა და სოფლებისა და დაბის ერთიანი ურბანული იერსახის განვითარებას ამ პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს, მუნიციპალიტეტში გადაიხურა 170 შენობა -ნაგებობა 2023 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მესტიის მუნიციპალიტეტისთვის 2 095 206 ლარი გამოიყო. თანხა სრულად მოხმარდა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებს და მათ მიერ გამოკვეთილი პრიორიტეტების შესაბამისად დაიხარჯა.

დასახლებების საერთო კრებები მუნიციპალიტეტის 17 ადმინისტრაციული ერთეულის 154 სოფელში ჩატარდა. სოფლის კრებებს, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, წესისამებრ, ესწრებოდნენ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები.

საკრებულოს გამართულ საქმიანობას და საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებაში ხელშეწყობას უზრუნველყოფს და საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევს საკრებულოს აპარატი (უფროსი-მანონი რატიანი), რომელიც შედგება სამი- საოქმო (შორენა გვარლიანი) პრესცენტრის (ირმა ჯაჭვლიანი) და საორგანიზაციო (იამზე ჯაფარიძე) განყოფილებისგან.

საკრებულოს აპარატი, რეგლამენტის შესაბამისად, შეუფერხებლად უწევს ორგანიზებას საკრებულოს სხდომებს, ფრაქციებისა და კომისიების მუშაობას.

აპარატი 12 თანამშრომლითაა დაკომპლექტებული.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი სრულყოფილად ამუშავებს საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებს, მოქალაქეების განცხადებებს, საკრებულოში შემოსულ წერილებს როგორც მოსახლეობიდან, ასევე სხვადასხვა ინსტანციებიდან, კომისიის და ფრაქციების დღის წესრიგს და სხვა სახის დოკუმენტაციას. შემოსული წერილები და კორესპოდენციები აღრიცხულია სათანადო წესის დაცვითა და დროულად არის მიწოდებული ადრესატამდე. 2023 წელს შემოსული წერილების რაოდენობაა 152, გასული წერილების კი- 170. დაცულია ინფორმაციის

პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება. 2021 წლიდან მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება, აღნიშნული პროგრამით სარგებლობს აპარატის ყველა თანამშრომელი. საკრებულოს აპარატის თითოეული საჯარო მოხელე პასუხისმგებლობით ეკიდება მათთვის კანონით დადგენილი სამუშაო ფუნქციების შესრულებას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომების, ასევე სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების გაშუქება და საზოგადოების სხვადასხვა ფენის ნარმომადგენლებამდე ინფორმაციის მიწოდება წარმოებს საკრებულოს სოციალური გვერდის ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო“, ოფიციალური ვებ გვერდის mestia.gov.ge და გაზეთის ,,ლილე“ მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების 2023 წლის ერთიანი ეროვნული შეფასების მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო ქვეყნის მასშტაბის პირველ ადგილზეა!

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2023 წლის ეროვნული შეფასება განხორციელდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ, პარტნიორ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამისა და დანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით შეფასების ინდიკატორი გახლდათ საკრებულოს ფეისბუქ გვერდი, გაზეთი ,,ლილე„ და ოფიციალური ვებ გვერდი mestia.gov.ge სადაც უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სამართლებრივი აქტების, ოქმების, ბიუჯეტის, სხდომათა დღის წესრიგის, მნიშვნელოვანი პროექტების, დაგეგმილი და ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება და სხვა.

მიღებულ შედეგში დიდი წვლილი მიუძღვის სამოქალაქო მოძრაობა ,,სამეგრელოს ხმას„ მიერ ,,სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის„ ფარგლებში განხორციელებულ პროექტს, რომლის მიზანიც გახლდათ ,,მესტიის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად„. სწორედ ,,სამეგრელოს ხმასთან„ თანამშრომლობით გავიდა საკრებულოს პრესცენტრტ და აპარატი ამ მნიშვნელოვან შედეგზე, რითაც სამართლიანად ვამაყობთ.

მნიშვნელოვანია ასევე USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის - ,,პერსპექტივების გააზრება: მოქალაქეთა და ბიზნესის დამოკიდებულებები ადგილობრივი მმართველობისა და სერვისების მიმართ" კვლევა, რომელიც ჩატარდა კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითის„ მიერ და მიზნად ისახავს მუნიციპალური საქმიანობის, პროგრამების და სერვისების მიმართ მოქალაქეთა და ბიზნესების დამოკიდებულებების შეფასებას.

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის აღნიშნული პროგრამა 12 პარტნიორ მუნიციპალიტეტში განხორცილედა – მესტია, ბათუმი, ჩოხატაური, ოზურგეთი, ქუთაისი, ტყიბული, ონი, ლენტეხი, ბოლნისი, რუსთავი, მარნეული და დმანისი.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, საკვლევ მუნიციპალიტეტებს შორის მესტიის მუნიციპალიტეტი ლიდერ პოზიციაზეა. მოსახლეობის ხელშეწყობის მიზნით, საკრებულოს დადგენილების/განკარ გულების შესაბამისად, ხორციელდება სოციალური დახმარებების პროგრამებიოპერაციების, მედიკამენტებისა და გამოკვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება, ახალშობილების მატერიალური დახმარება, უსახლკაროებისათვის სახლების მშენებლობა და სხვა. საკრებულო აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე, ასევე დაგეგმვის პროცესში არსებული ყველა ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტების განხორციელებასა და მონიტორინგში.

2023 წელს დაწყებული და მიმდინარე პროექტებია:

იფარი - ზეგანის დამაკავშირებელი გზა-2,4 კმ.

წვირმის გზა- 3 კმ.

ლახუშდის საავტომობილო გზა -1,900

ფარის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია-2 კმ.

არცხელის გზა და ხიდი

ჭუბერი-ყარ-სგურიშის გზა -7, 300 (12 მლნ)

ლატალი, ლელბაგი-იფხი- სანიაღვრე არხის მშენებლობა.

მიმდინარე, 2024 წელს გეგმაშია ასევე მესტიაში სენაკის ქუჩის რეაბილიტაცია.

დასასრულს უახლოვდება იფარის საბავშვო ბაღი -

ჭოლაშისა და მაზერის საბავშვო ბაღები, მესტიის მეორე საბავშვო ბაგა ბაღი

ჭუბერის, ბეჩოს და ყარსგურიშის საჯარო სკოლები.

2023- ში დასრულებული პროექტები:

ცხუმარის საბავშვო ბაღი

იდლიანის ხიდის მშენებლობა

ცხუმარის სანიაღვრე კოლექტორის მშენებლობა

სტიქიის შედეგად მწყობრიდან გამოსული სანიაღვრე გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია.

2024 წელს გეგმაშია დაბა მესტიაში, სენაკის ქუჩის რეაბილიტაცია.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, საქართველოს პრემიერის ინიცირებული პროექტის ,,განახლებული რეგიონების პროგრამა„ ფარგლებში 2023 წელს მესტიაში აშენდა რეკრეაციული ზონა და რეაბილიტირდა ცენტრალურ მოედანზე მდებარე სკვერი ,,გეოგრაფიული ობიექტების შესახებ„ საქართველოს კანონის და ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ„ საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, საკრებულოს განკარგულებით, შეიქმნა მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდების, სახელწოდებათა ნორმალიზების, რეგისტრაცია-აღრიცხვასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფი ბატონ ზაურ ჩართოლანის ხელმძღვანელობით. ჯგუფმა, ჩემთან ერთად გასწია სერიოზული სამუშაო და მუნიციპალიტეტის 16 ტერიტორიულ ერთეულში განხორციელდა სახელდების არმქონე ყველა ქუჩის სახელდება.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წელს იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში წარადგინა პროექტი „მესტიის მუნიციპალიტეტისთვის პირველი საზოგადოებრივი ავტობუსის შეძენა„. რომლის ფარგლებშიც, საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, მიიღო თანხმობა იაპონიის საელჩოსგან გრანტის მიღების თაობაზე და მიიღო გრანტი 195 000 ლარის ოდენობით, რისი მეშვეობითაც, მესტიის მუნიციპალიტეტს თანამედროვე, ევროპული სტანდარტის, „ისუზუს„ ფირმის 3 სამგზავრო ავტობუსი უკვე გადმოეცა . თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ავტობუსები 47 მგზავრზეა გათვლილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

მესტიის მუნიციპალიტეტისთვის ახალი ავტობუსების შესყიდვა თანადაფინანსებით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით ცენტრალური ბიუჯეტიდან, მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მიღებული გრანტის ფარგლებში განხორციელდა.

მესტიის მუნიციპალიტეტი პირველი საზოგადოებრივი ავტობუსისთვის ინფრასტრუქტურის გამართვას უზრუნველყოფს, მოეწყობა ავტობუსის სადგომები და ტრნსპორტის მოძრაობის არეალში განისაზღვრება საპარკინგე ადგილები.

კომფორტული, EURO 5-ი სტანდარტის ავტობუსების შეძენით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას წლების განმავლობაში არსებული შიდა სატრანსპორტო გადადგილებასთან დაკავშირებული პრობლემა მოუგვარდება..

საქართველოში გადროშიანება ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ხელშეწყობით ხორციელდება.

სვანი ემიგრანტის ნინო ხალდეშელის ინიციატივით და ამერიკაში მცხოვრები სვანი ემიგრანტების ხელშეწყობით, დროშები მესტიის მუნიციპალიტეტსაც გადაეცა.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელდა დროშების აღმართვა კოშკებზე.

გადროშიანების პროცესი მესტიის მუნიციპალიტეტში კვლავაც გაგრძელდება და მოიცავს მთელს მუნიციპალიტეტს მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის მაღალი დონე განაპირობებს განაპირობებს საერთო მიზნებისა და ვალდებულებების სათანადო დონეზე შესრულებას. ეს ურთიერთობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

ჩემთვის, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქის, საკრებულოს წევრისა და საკრებულოს თავმჯდომარისათვის, პრიორიტეტს წარმოადგენდა და წარმოადგენს სამართლიანობა და ადამიანური ღირებულებების პატივისცემა, სტაბილურობა, ქვეყნის აღმშენებლობა, გამჭვირვალობა და ურთიერთანამშრომლობა.

ჩვენ მზად ვართ მივიღოთ

ნებისმიერი ობიექტური შენიშვნა და გავითვალისწინოთ თქვენი მოსაზრებები, რადგან

მხოლოდ მოსა ხლეობასთან ერთობლივი მუშაობითაა შესაძლებელი წინსვლა და

ღირსეული მომავლის შენება.

პატივისცემით, მაიზერ ჯაფარიძე
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო გამოცემა, 2023 წელი, №8

საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა

14 დეკემბერი საქართველოს ისტორიაში ერთერთ მნიშვნელოვან თარიღად ჩაიწერა. ამ დღეს საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა. ეს ფაქტი მნიშვნელოვან სასიკეთო ცვლილებებს გამოიწვევს ჩვენი ქვეყნისთვის და ჯამში, თითოეული ჩვენი თანამოქალაქის კეთილდღეობაზე აისახება.

ევროკავშირი დემოკრატიული პროცესების განვითარების გარანტია. ამიტომაც ჩვენი ქვეყნის და მოსახლეობის სწრაფვა ევროპისკენ, უკეთესი მომავლის შენების საწინდარია.

დღეს ქვეყანა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადადის. საქართველო უნდა გახდეს ღირსეული წევრი იმ დიდი ოჯახის, რომელსაც ევროპა ჰქვია.

გილოცავთ ყველას საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.

„საკრებულოს საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება“

8 დეკემბერს, USAID ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის „საკრებულოს საზედამხედველო შესაძლებლობების გაძლიერება„-ს ფარგლებში მიმდინარეობდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე „მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება“. ტრენინგი ჩატარდა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისთვის. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს წარმომადგენლები. ტრენინგს უძღვებოდა - პოლიტიკის ექსპერტი, პროფესორი, საჯარო მმართველობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი - ნანი მაჭარაშვილი.

USAID -ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა წარმოადგენს ხუთწლიან ინიციატივას, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციისა და საჯარო რეფორმის მხარდაჭერას და ადგილობრივ თვითმმართველობებში ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია საკრებულოს. იგი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს, აკონტროლებს აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირთა საქმიანობას და იღებს გადაწყვეტილებებს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე.

მესტიის რაიონული პროკურორის შეხვედრა მოსახლეობასთან

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, მესტიის რაიონულმა პროკურორმა გამართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა დაბა მესტიის და მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობასთან. შეხვედრისას პროკურორმა ბატონმა რამაზ ხურციამ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია 2023 წლის 15 ნოემბრის ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის თაობაზე და განუმარტა მათ აღნიშნული კანონი.

ამნისტიის კანონის მიღება მოხდა საქართველოს პროკურატურის და მთავრობის ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ და მისი მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დანაშაულებრივი გზით დაუფლებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება, სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების სახელმწიფოს საკუთრებაში დაბრუნება და დანაშაულის ჩამდენ პირებზე კანონით გათვალისწინებული შეღავათების გავრცელება.

ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, დანაშაულის ხასიათისა და ბუნების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან თავისუფლდებიან საქართველოს სისხლის სამართლის გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდებული და მსჯავრდებული პირები-აღნიშნულია კანონში. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების შესაბამისი დანაშაულის ჩადენით მოპოვების შემთხვევაზე.

გათავისუფლდეს ბრალდებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მან სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით ან/და 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით 2023 წლის 1 სექტემბრამდე მოიპოვა და ამ დანაშაულის/დანაშაულების ჩადენის შედეგად სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი ამ კანონით დადგენილი წესით ანაზღაურდა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს აგრეთვე ამ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის/დანაშაულების თანამონაწილე, თუ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი ამ კანონით დადგენილი წესით ანაზღაურდა.

დაწვრილებითი ინფორმაცია აღნიშნული კანონის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ გვერდზე:

Macne. gov.ge

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრის სევდიანი განსვენება

მინდა ჩვენი გაზეთის საშუალებით, ჩემი და ჩემი ოჯახის უდიდესი გულისტკივილი გამოვხატო ბატონ ვინფრიდ ბოედერის გარდაცვალების გამო.

ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი, ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტური, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი...მას ორჯერ მიენიჭასაპატიო დოქტორის წოდება: 2009 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფოუნივერსიტეტისა და 2017 წელს- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის. ბატონი ვინფრიდი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი.

თავს არ მივცემ უფლებას ჩამოვთვალო მისი სამეცნიერო საქმიანობა და ნაშრომები, ვერც იმ კეთილ საქმეებს ჩამოვთვლი, რაც ბატონ ბატონ ვინფრიდმა და ქალბატონ დორისმა საქართველოსა და მის ხალხს გაუწიეს.

მისი კვლევის ობიექტი სხვა ენებთან ერთად ქართული ენაც იყო. ის საქართველოს პირველად 1974 წელს ეწვია. იმავე წელს ჩამოვიდა სვანეთში და მის შემდეგ არ გაუწყვეტია სვანეთთან მეგობრობა. არ გამორჩენია რაიმე მნიშვნელოვანი ჩვენი კუთხის შესახებ. ხარობდა კარგი ამბებით. კარგად ერკვეოდა ბალსზემოურ და ბალსქვემოურ სვანურში. სიკვდილამდე მუშაობდა სვანურ ენაზე. შემოიარა სვანეთი. დიდი წვლილი შეიტანა უშუალოდ ჩემს პედაგოგიურ საქმიანობაში. მრავალჯერ მიმასპინძლა გერმანიაში, ვესწრებოდი იქაურ სკოლებში გაკვეთილებს, ინსტიტუტში ნანახს ჩემს სკოლებში ვიყენებდი.

ინგლისური ენის შემდგომი სრულყოფის მიზნით მიმავლინა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მას ხალხი იცნობდა არა მხოლოდ როგორც გამოჩენილ მეცნიერს, არამედ კეთილ, ყურადღებიან, ქველმოქმედ და მეტად თავმდაბალ ადამიანს. ვისურვებდი საქართველოს მრავალი ასეთი მეგობარი და კარგის მსურველი ჰყოლოდეს.

ციური გაბლიანი

P.S. რედაქციისგან: ვუერთდებით ყველასთვის საყვარელი ქალბატონის, დამსახურებული პედაგოგისა და მოქალაქის, ციური გაბლიანის გულისტკივილს და ვიზიარებთ ოჯახისა მწუხარებას ჩვენი ქვეყნისა და კუთხის პატივისმცემელი ადამიანის ბატონ ვინფრიდ ბოედერის გარდაცვალების გამო.

სვანეთის მარგალიტები

დები- ეკა, ანა და მადონა ჩამგელიანები - სვანური ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლები, ადამიანები, რომლებმაც ჩვენი კუთხის სახელი მთელ საქართველოში, შემდეგ კი, საქართველოდან-ევროპაში გაიტანეს.

დები ჩამგელიანები გაიზარდნენ ლატალში, მომღერალ ოჯახში.. მშობლები, ბიძა -დეიდა- მამიდები ყველა მღეროდნენ.

შესაბამისად, მათში ბავშვობიდანვე ჩაინერგა სიმღერის სიყვარული, რასაც გენეტიკამაც შეუწყო ხელი.

ეკა და ანა პროფესიულადაც მუსიკოსები არიან, მადონა კი ეთნოგრაფი გახლავთ და მუდმივ რეჟიმში იკვლევს სვანეთის ყოფას. ეკა მუშაობს ლატალის საბავშვო ბაღში მასწავლებლად. ანა მღერის ანსამბლ ,,სათანაოში".

დებს პროექტის ,,მომღერალი სოფელი, ლახუშდი" ფარგლებში ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსები.

2023 წელს, ჩამგელიანები აშშ-ს საელჩოს შერჩევით, მოხვდნენ უმნიშვნელოვანეს პროექტში "საუნდ ბრიჯ" და უმასპინძლეს ოთხი ქვეყნის (თურქეთი, სომხეთი, საქართველო და საბერძნეთი) კომპოზიტორებს, რომლებმაც სვანეთში, სოფელ ლახუშდში შექმნეს კოლაბორაციული მუსიკა..

აღნიშნული პროექტი გაგრძელდება 2024 წელსაც, რაც მეტად მნიშვნელოვანია რეგიონისთვის.

2023 წელს დები შერჩეულ იქნენ ფესტივალ ,,ევროპალია საქართველო"-ოთხ ფოლკლორულ ანსამბლს შორის.

11 ნოემბერს დებს კონცერტი ჰქონდათ ბრიუსელში, მოლიერის თეატრში ანსამბლ დიდგორთან ერთად, სადაც გაყიდული იყო ყველა ბილეთი და კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა. დებმა ძირითადად სვანური ხალხური სიმღერები წარუდგინეს მსმენელს.

დებმა მასტერკლასები და სალონური კონცერტები ჩაატარეს ქალაქ ლუვენსა და გენტში.

ასევე, ,,ევროპალიას" ფარგლებში ქალაქ მონსში ულტრათანამედროვე დარბაზ არსონიკში გამართეს სოლო კონცერტი ანსამბლ ბასიანთან ერთად .

ბელგიური ტურნე მონსის კონცერტით დაიხურა.

16,17, და 19 ნოემბერს დებმა სამი კონცერტი ჩაატარეს ასევე გერმანიაში, ქალაქ ჰამბურგში (გლენცე), სადაც მათ შეუერთდა მათი მეგობარი ლევან ბითაროვიც .

22 ნოემბერს დებმა და მეგობრებმა (ზოე პერე და ლევან ბითაროვი) გახსნეს მეტად მნიშვნელოვანი ფესტივალი, პარიზის მეშვიდე სახელოვნებო ფესტივალი, რომელიც ეძღვნებოდა თბილისს.

კონცერტი ჩატარდა პარიზის ხელოვნების მუზეუმში, რაც ერთობ შთამბეჭდავი იყო.

,,პარიზშიც ყველა ბილეთი გაყიდული იყო და ხალხის ის ნაკადი და ემოციები, რაც იქ ვიხილეთ, ნამდვილად გასაოცარი იყო"-ამბობს ქალბატონი მადონა ჩამგელიანი.

ბელგიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში „ევროპალია“ ისევ გრძელდება. კულტურის საერთაშორისო ფესტივალმა, რომელშიც საქართველო სტუმარი ქვეყნის სტატუსით პირველად მონაწილეობს, არაერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას უმასპინძლა.

ახლახან, ანსამბლებმა „ბასიანი“ და „დები ჩამგელიანები“,,მონსის ხელოვნების ცენტრში" გამართეს კონცერტი საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. „ევროპალია-საქართველოს“ ეგიდით ფესტივალი მომავალი წლის თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება.

ცხადია, ეს არ არის სრული ჩამონათვალი დები ჩამგელიანების მიერ ჩატარებული კონცერტებისა.

დები ჩამგელიანების წარმატებული მოღვაწეობის შესახებ არაერთი რეპორტაჟია გასული ჩვენი ქვეყნისა და სხვა ტელევიზიებში.

მივესალმებით მათი ღვაწლის აღიარებას და ვულოცავთ დებ ჩამგელიანებს ახალ წელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობას და ყოველივე საუკეთესოს.

მადლობა მათ ფოლკლორის აღორძინება-განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ჩვენი კუთხისა და ქვეყნის ასე დადებითად წარმოჩენისათვის, ვუსურვებთ წარმატებებს.

,,TT Warsaw 2023“

სვანეთის ტურისტული „დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლენდმა“ მონაწილეობა მიიღო, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში "TT Warsaw", რომელიც 23-25 ნოემბერს გაიმართა.

გამოფენა „TT Warsaw 2023“- ში 50 ქვეყნის 247 ტურისტული კომპანია იღებდა მონაწილეობას.

„TT Warsaw 2023“- ში მონაწილეობა დიდი შესაძლებლობა გახლდათ შემდეგი მიზნების მისაღწევად:

• სვანეთის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის ცნობადობის ამაღლება დასავლურევროპულ ტურისტულ ბაზარზე

• საერთაშორისო პარტნიორების მოძიება/კონტაქტების დამყარება

• სვანეთის ტურისტული პროდუქტებისა და ადგილობრივი ნაწარმის პოპულარიზაცია.

გამოფენაზე „დმო„-მ წარმოადგინა სვანეთის ოთხივე სეზონის ტურისტული პროდუქტები, დმო-ს წევრებისა და სვანეთში არსებული ტურისტული ობიექტების შესახებ ინფორმაცია, ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთები და ნაწარმი.

გამოფენის ფარგლებში, „დმო„-ს სტენდზე დამთვალიერებლებს საშუალება ქონდათ გაცნობოდნენ სვანეთის ტურისტულ შესაძლებლობებს და მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია რეგიონის ძირითადი ტურისტული მიმართულებების შესახებ.

,,სვანეთის ხმები“

პროექტი „სვანეთის ხმები“ რუსთაველის ეროვნულ თეატრში კონცერტით დაიხურა.

რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე მურად ფირცხელანის, რუსლან სტეფლიანისა და გულვერ გერლიანის საიუბილეო საღამო გაიმართა. სვანეთის ანსამბლ „რიჰოს“ (ხელმძღვანელი ვახტანგ ფილფანი) სამი უხუცესი წევრი, თითქმის ნახევარი საუკუნეა,

სვანურ ფოლკლორს სწავლობს, იცავს და ასრულებს. რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე მათ კიდევ ერთხელ შეასრულეს ათასწლეულების წინ შექმნილი სვანური მრავალხმიანობის უნიკალური ნიმუშები. ანსამბლ „რიჰოსთან“ ერთად მსმენელის წინაშე წარდგნენ ანსამბლები: ადილეი, ბასიანი, დიდგორი, დები ჩამგელიანები, ლალხორ, სათანაო, შილდა და ძირიანი.

საღამოს უძღვებოდა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი და ანსამბლ „ბასიანის“ სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი დონაძე.

პროექტი „სვანეთის ხმები“ სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, მოიცავდა სვანეთიდან ჩამოსული უხუცესი მომღერლების მიერ შესრულებული უნიკალური სვანური ფოლკლორული ნიმუშების ჩაწერას ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხმის ჩამწერ სტუდიაში ანსამბლ „ბასიანთან“ ერთად.

ასევე, ფოლკლორის ცენტრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა შეხვედრა ანსამბლ „რიჰოს“ უხუცეს წევრებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ გალობის უნივერსიტეტის სტუდენტები, თბილისის ფოლკლორული ანსამბლები და სვანური ფოლკლორის მოყვარულები.

პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

ფოლკლორის ცენტრი

ჭუბერის ანსამბლი „ნენსკრა" „ოქროს მართვეს" გამარჯვებულია!

ჭუბერი ს საჯარო სკოლა ოდითგანვე იდგა მოწინავე პოზიციაზე სხვადასხვა სფეროში ქვეყნის მასშტაბით- საგანმანათლებლო კონკურსები, სპორტი, ფოლკლორი, მუსიკა..

განსაკუთრებით აღნიშვნას იმსახურებს ანსამბლი ,,ნენსკრა", რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ღირსეულად წარმოაჩენს ჩვენს კუთხეს და გვახარებს უამრავი გამარჯვებით.

2023 წლის 9 დეკემბერს, სასცენო ხელოვნების 28-ე საერთაშორისო სატელევიზიო კონკურს-ფესტივალი - ,,ოქროს მართვეს" ფინალურ ტურში ფოლკლორის ჟანრში გაიმარჯვა და საქართველოს მასშტაბით პირველი ადგილი მოიპოვა ჭუბერის ბორის კახიანის სახელობის კულტურულ ცენტრთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,ნენსკრამ".

გამარჯვებული ანსამბლი ,,ნენსკრა, მისი ხელმძღვანელი და წევრები დაჯილდოვდნენ ლაურეატის წოდების დიპლომებითა და მედლებით.

ამასთან, მხატვრული კითხვის ჟანრში ლაურეატის წოდებით დაჯილდოვდა ჭუბერის საჯარო სკოლის მოსწავლე- დიმიტრი ოთხვანი.

ვულოცავთ ანსამბლ ნენსკრას და მის ხელმძღვანელს ქალბატონ ლალი ჩხეტიანს ამ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებთ მომავალ წარმატებს.

„ტვინების ბრძოლა"

2023 წლის 10 დეკემბერს სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში გაიმართა ინტელექტუალური თამაშის „ტვინების ბრძოლა" რეგიონული პირველობის ტური მესტიის მუნიციპალიტეტის შემდეგი საჯარო სკოლების მონაწილეობით:

დაწყებითი კლასი:

I ადგილი: ლენჯერის N1 საჯარო სკოლა-IV კლასი-„ბორჯღალოსნები"- 53 ქულა;

ლენჯერის N2 საჯარო სკოლა- III, IV, V კლასი- „გენიოსები"- 53 ქულა

II ადგილი: მაზერის საჯარო სკოლა- V კლასი- „განთიადი"- 46 ქულა

III ადგილი: მესტიის მიხეილ ხერგიანის სახელობის N2 საჯარო სკოლა:

V კლასი- „ტვინიკოსები"- 29 ქულა

IV ადგილი: მესტიის მიხეილ ხერგიანის სახელობის N2 საჯარო სკოლა: IV კლასი -

„ტვინის ჭია"- 26 ქულა

V ადგილი: მესტიის მიხეილ ხერგიანის სახელობის N2 საჯარო სკოლა-

V კლასი- „არწივები"- 23 ქულა

VI ადგილი: რ. მარგიანის სახელობის სოფელ მუჟალის საჯარო სკოლა- IV, V კლასი- „ცეცხლოვანი არწივები"- 22 ქულა

საშუალო კლასი:

I ადგილი: მესტიის მიხეილ ხერგიანის სახელობის N2 საჯარო სკოლა- VI, VII, VIII კლასი- „კლდის ვეფხვი"- 77 ქულა

II ადგილი: ლენჯერის N1 საჯარო სკოლა - VI, VII, VIII კლასი- „ლომგულები"- 65 ქულა

III ადგილი: მესტიის მიხეილ ხერგიანის სახელობის N2 საჯარო სკოლა- VII კლასი-

„ბებობუები"- 51 ქულა

IV ადგილი: რ. მარგიანის სახელობის სოფელ მუჟალის საჯარო სკოლა - VII, VIII კლასი- „წიგნების ჭია"- 46 ქულა

მაღალი კლასი:

ლენჯერის N1 საჯარო სკოლა-„ფენიქსი"- X, XI კლასი - 57 ქულა.

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი წარმატებას უსურვებს ინტელექტუალურ თამაშში მონაწილე ყველა საჯარო სკოლას, თითოეულ მოსწავლესა და პედაგოგს.

სვანეთის მუზეუმი

ფარის ფერმერთა სკოლა

ფარის თემსა და მიმდებარე სოფლებში:ეცერი,ლახამულა,კიჩხულდაში მცხოვრები

ფერმერებისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა გაჩნდა ფერმერთა საველე სკოლის

გახსნით.

ფერმერთა საველე სკოლა გაიხსნა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ ფარსა და

იდლიანში,რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ ასოციაციის წევრები და სასწავლო კურსს გაივლიან რძის პროდუქტების წარმოების მიმართულებით.

პროექტი მიმდინარეობს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში, 2020 წლის ოქტომბრიდან გაეროს სურსათისა და სოფლიოს

მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ, გაეროს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების სააგენტოსთან (UN Women) პარტნიორობითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. ჩვენი თემი მოხარულია ამ სიახლით და მადლობას უხდის პროექტის

განმახორციელებლ გუნდს და ფინანსურ მხარდამჭერებს.

ეკატერინე წულუკიძე

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი 1.

გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილებამ

ირმა ჯაჭვლიანი, ნინო ნაკანი

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გამომცემლობა კოლორში"

(ტირაჟი - 600 ცალი)

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 45

ირმა ჯაჭვლიანი

ელ. ფოსტა:

irmajachvliani1968@gmail.com